

მასწავლებელთა თანამშრომლობის გაუმჯობესება

ხატია მიქელაძე
თამარ ღულუნუშვილი
ნინო ყულოშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე - განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2017 წ

განაცხადი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი არის ორიგინალი და ჩვენს მიერ გამოყენებული ლიტერატურული მასალები დაცულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილით.

მადლობა

მადლობა გვინდა გადავუხადოთ სსიპ ქ. თბილისის 90-ე საჯარო სკოლის დირექტორს, თამარ მელიქიძეს, კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს და ადმინისტრაციის წევრებს თანამშრომლობისთვის. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს, ქალბატონ ნათია ანდლულაძეს გაწეული დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებაზე. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრანტების მიერ სსიპ თბილისის 90-ე საჯარო სკოლაში, სადაც ინტერვენციებში ჩართული იყო რამდენიმე პედაგოგი. (ინგლისური და რუსული ენის, ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები).

კვლევის პირველ ეტაპზე კითხვარების საშუალებით მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება და გამომწვევი მიზეზების დადგენა, რის მიხედვითაც შემუშავდა შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვენციების ჩატარების შედეგად გაუმჯობესდა მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურა, რაც გამოიხატებოდა პროფესიული ცოდნის, გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარებასა და რეკომენდაციებში, ეს დაადასტურა საბოლოო კვლევის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა.

მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის გაუმჯობესება ხელს უწყობს პედაგოგებს, როგორც აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში, ასევე ახალი უნარ-ჩვევების შეძენაში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სსიპ თბილისის 90-ე საჯარო სკოლისთვის, არამედ სხვა საჯარო თუ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სადაც მასწავლებელთა თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა განვითარებაზე. განათლებული თაობა კი განვითარებული ქვეყნის საწინდარია.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურა, ინტერვენცია, პრაქტიკის კვლევა, ადმინისტრაცია.

ABSTRACT

The present paper presents a practical study report on improvement of cooperation between the teachers. The survey was carried out by the masters' of Education Administration in the Ilia State University in Tbilisi Public School # 90, where several teachers were involved in the interventions. (Teachers of English and Russian Language, History, Georgian Language and Literature).

At the first stage, through the questionnaires there occurred identification of the problems and to determine the causes of the reasons, according to which the relevant measures were developed. As a result of conducting the interventions, collaborative culture among the teachers was clearly improved, which was reflected in the sharing with each other of professional knowledge, experience and recommendations, which was confirmed by the data received as the results of the final survey.

Improvement of co-operative culture among teachers promotes teachers in improving academic results, as well as in acquiring new skills. The results of the research are important not only for LEPL Tbilisi Public School # 90 but also in other public and private general educational institutions where the teachers' cooperation plays a significant role in the development of the pupils. The educated generation is the developed country's prerequisite.

Keywords:

Teachers' collaborative culture, intervention, practice research, administration